

## ზესტაფონის მუნიციპალიტეტი



### სატენდერო დოკუმენტაცია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის საქონლის შესყიდვა  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011  
წლის 7 აპრილის №9 ბრძანების  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული  
ტენდერის ჩატარების წესის  
„შესახებ“ – შესაბამისად

-კლასიფიკატორის კოდი 44611500

#### საკვალიფიკაციო მონაცემები

პრეტენდენტს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოეთხოვება.

- სატენდერო წინადადება ძალაშია მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან ტენდერისათვის „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან „ტენდერი შეწყვეტილია“სტატუსის (ერთ-ერთის) მინიჭებამდე.

- წინადადების წარდგენის დროს პრეტენდენტმა პირველ რიგში სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პრეტენდენტის მიერ,სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომელის მოთხოვნილია სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით.

-პრეტენდენტის რეკვიზიტები და ტელეფონის ნომრები-დანართი #3 -ის მიხედვით

- მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში
  - მიწოდების ადგილი: - ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლები დანართი #2 –ის მიხედვით
  - სავარაუდო ღირებულება 6700 ლარი , საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.
  - დაფინანსების წყარო - 2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სახელმწიფო ბიუჯეტიდან
  - ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება- ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე 10 საბანკო დღის განმავლობაში.
  - იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად , პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მომწოდებლიდან მოითხოვოს მის მიერ ნაჩვენები საბოლოო ფასის **ადეკვატურობის** დასაბუთება იმის დასადასტურებლად, რამდენად შესაძლებელია აღნიშნული თანხით ტენდერით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება..
  - ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ანგარიშგაქტურით (ინვოისით) ან სერთიფიკატით.
  - სხვა დამატებითი პირობები დაზუსტებული იქნება ხელშეკრულების დადების დროს .
  - დამატებითი ინფორმაციის მიღება სამუშაო საათების განმავლობაში .
- საკონტაქტო პირი -სატენდერო კომისიის წევრი მამუკა ლომინაშვილი ტელ-577384766  
 -სატენდერო კომისიის წევრი თემური წიწილაშვილი - ტელეფონი 595335460  
 სატენდერო კომისიის აპარატის წევრები -მედეა ნანიტაშვილი 593927239 და ნინო ნებიერიძე 571042133

მასალების ტექნიკური პირობები

- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი #1-ის მიხედვით.

ფასების ცხრილი დანართი 1

	მასალების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	მარკა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება ლარი
1	2	3	4	5	6		7	8
1	ცისტერნა 16 ტ-ლითონის, მეორადი,ემალირებული სასმელი წყლის გამოსაყენებლად	ც	1					
2	ავზი პლასტის 5 ტ	ც	1					
3	ავზი პლასტის 3 ტ	ც	2					

- საქონლის მოწოდებაზე დანართი #2-ის მიხედვით.

მასალების დასახელება და მახასიათებელი	ზომის ერთ	რაოდენობა	მეორე სფერო	ცხრაწარი
1	2	3	4	5
ცისტერნა 16 ტ-ლითონის,მეორადი,ემალირებული სასმელი წყლის გამოსაყენებლად	ც	1		1

ავზი პლასმასის 5 ტ	6	1		1
ავზი პლასმასის 3 ტ	6	2	2	

- წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მომწოდებლის მიზეზით, მომწოდებელი ვალდებულია შეცვლა უზრუნველყოფის საკუთარი ხარჯებით.
- პრეტენდენტი ვალდებულია საქონლის მოწოდება უზრუნველყოფის თავის საკუთარი ძალებით ადგილმდებარეობების მიხედვით შემსყიდველთან შეთანხმებით დანართი #2-ის მიხედვით.
- პრეტენდენტის მიერ საქონელი მოწოდებული უნდა იყოს სამუშაო დღეებისა და სამუშაო საათების განმავლობაში დანართი#3 რეკვიზიტები

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული მისამართი	
4	პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი	
5	საინდიფიკაციო კოდი	
6	ტელეფონის ნომერი	
7	ელექტრონული მისამართი	
8	მომსახურე ბანკი	
9	ბანკის კოდი	
10	ანგარიშის ნომერი	

ორგანიზაციის დასახელება

ხელისმოწერა ბ. ა.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № (ნიმუში)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი  
საქონლის შესყიდვა

ზესტაფონი

2016 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის..... სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ სახით ----- (მისამართი: მიმწოდებელი) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მომწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, № სპა..... გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვლდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია .....

სასრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია- დანართების # შესაბამისდ.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ლარი.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება
- ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
- ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

#### 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

#### 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ----- ბრძანებით შექმნილი კომისია რომელთაც შუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

#### 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

#### 9 ანგარიშსწორების ფორმა, ვრაფიკი (ვადები) და ადგილი

9.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით.

9.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება- ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. რომელსაც უნდა დაერთოს

ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა;

ბ) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის რაოდენობა და ღირებულება

გ) მიწოდებული საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა

ან სასაქონლო ზედნადები;

#### 10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

ა. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, 2 დღეში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ბ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

#### 11 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.2 % ოქნობით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

11.4 მომწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს შემსყიდველმა დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ იქნეს მიმართული ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

*12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან -----მდე

*13 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უზრუნველყოფს ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*14 ფორს-მაჟორი*

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

*15 დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*16 სხვა პირობები*

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად. , რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე .

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

*18 ხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი:

მომწოდებელი

